

ქალაქ ქუთაისში, ხარეზავას ქუჩა N5 საცხოვრებელი სახლის  
N143–144 ოთახებზე, მოქალაქე ვერა ეჯიბიასათვის საკუთრების  
უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიაში განხილული იქნა ხარეზავას ქუჩა N5 საცხოვრებელი სახლის N143–144 ოთახებში მცხოვრები მოქალაქე ვერა ეჯიბიას წარმომადგენლის მირიან პაპიძის განცხადება /2013 წლის 26.04 Nპ–5168/, რითაც ითხოვს საცხოვრებელ ოთახებზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, ხარეზავას ქუჩა N5 საცხოვრებელი სახლი N143–144 ოთახები/, საკუთრების უფლების დამადასტურებელი მოწმობის გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39–ე მუხლის მე–3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 65<sup>2</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, ხარეზავას ქუჩა N5 საცხოვრებელი სახლის N143–144 ოთახებზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე ვერა ეჯიბიას.

2. ქალაქ ქუთაისის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურმა /კ.ხვარეშია/, ქალაქ ქუთაისში, ხარეზავას ქუჩა N5 საცხოვრებელი სახლის N143–144 ოთახებზე /საერთო ფართობი 27,56 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი 27,56 კვ.მ, საერთო სარგებლობაში არსებული სველი წერტილი და საზაფხულო ფართობი 19,32 კვ.მ./ მოქალაქე ვერა ეჯიბიას სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა კ.რატიაძემ.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქ.ქუთაისის მერის მოადგილე,  
მერის მოვალეობის შემსრულებელი

ნ.კაჭკაჭიშვილი